

თანამედროვე უნივერსიტეტის მისია

კრებულის რედაქტორები:
მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)
უდო რაინჰოლდ იეკი
თენგიზ ირემაძე

THE MISSION OF THE MODERN UNIVERSITY

Edited by
Metropolitan Grigoli (Berbichashvili)
Udo Reinhold Jeck
Tengiz Iremadze

თბილისი 2018 Tbilisi

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი

NEW GEORGIAN UNIVERSITY
Archive of Caucasian Philosophy and Theology

რედაქტორები:

მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიშვაშვილი),
პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი
უდო რაინდოლდ იეკი, პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი
თენგიზ ირემაძე, პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი

Editors:

Prof. Dr. **Metropolitan Grigoli (Berbichashvili)**

Prof. Dr. **Udo Reinhold Jeck**

Prof. Dr. **Tengiz Iremadze**

რეცენზენტები:

პროფესორი, ფილოლოგის დოქტორი **დოდო ლაბუჩიძე**
პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი **ჰელმუტ შნაიდერი**

Reviewers:

Prof. Dr. **Dodo Labuchidze**

Prof. Dr. **Helmut Schneider**

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: **გიორგი ბაგრატიონი**

Cover design and Book layout: **Giorgi Bagrationi**

პირველი გამოცემა, 2018

First Edition, 2018

© კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი, 2018

© Archive of Caucasian Philosophy and Theology, 2018

დაბეჭდა შპს „ფაფორიტი სტილში“, 2018

ISBN 978-9941-8-0486-1

სარჩევი

| | |
|--|-----|
| წინათქმა | 5 |
| უდო რაინჭოლდ იეკი ალექსანდრის პროექტი და მისი შედეგები. მუზეიონი, როგორც ინტერკულტურული ცოდნის ცენტრი | 9 |
| ლალი ზაქარაძე უნივერსიტეტის მისია | 20 |
| გიორგი თავაძე უნივერსიტეტების წარმოშობა შუა საუკუნეებში | 55 |
| მიხეილ გოგატიშვილი თავისუფალ ხელოვნებათა ქრისტიანული იკონოგრაფია | 78 |
| გიორგი ხუროშვილი თანამედროვე უნივერსიტეტი და ლიბერალური დემოკრატია | 105 |
| რეზიუმეები ინგლისურ ენაზე | 116 |
| სახელთა საძიებელი | 123 |
| კრებულის რედაქტორები და ავტორები | 129 |

Contents

| | |
|--|-----|
| Foreword | 5 |
| | |
| <i>Udo Reinhold Jeck</i> | |
| The Project of Alexandria and its Results. | |
| Museion as the Centre of | |
| Intercultural Knowledge | 9 |
| | |
| <i>Lali Zakaradze</i> | |
| The Mission of the University | 20 |
| | |
| <i>Giorgi Tavadze</i> | |
| The Origin of Universities in the Middle Ages | 55 |
| | |
| <i>Mikheil Gogatishvili</i> | |
| Christian Iconography of the Liberal Arts | 78 |
| | |
| <i>Giorgi Khuroshvili</i> | |
| Contemporary University and | |
| Liberal Democracy | 105 |
| | |
| Abstracts | 116 |
| | |
| Index | 123 |
| | |
| Notes on Contributors | 131 |

ნიცათქმა

ქართული საგანმანათლებლო სივრცე დიდი გა-
მოწვევების წინაშე დგას. ერთი მხრივ, გამოწვევას
ნარმოადგენს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე
ტექნოლოგიური ცვლილებები, ხოლო, მეორე მხრივ
კი, საბჭოთა წარსულის მძიმე მემკვიდრეობა. ახალი
საქართველოს უნივერსიტეტის მთავარი მისია (ამ გა-
მოწვევების გათვალისწინებით) იმგვარი სამეცნიერო
პლატფორმის შექმნაა, რომელიც მყარ ფუნდამენტს
შექმნის ახალი საქართველოს სააზროვნო ორი-
ენტიტების გამოკვეთისა და განსაზღვრის გზაზე.
ამის გამო ახალი საქართველოს უნივერსიტეტის
სწავლა-სწავლებისა და კვლევა-ძიების უმთავრესი
დარგი არის ქრისტიანული ფილოსოფია, რომლი-
თაც ქართული აზროვნება ოდითგანვე გამოირჩე-
ოდა და წარსული საუკუნეების განმავლობაში ამ
მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაშრომები შეიქმნა
კიდეც (გავიხსენოთ, თუნდაც, იოანე პეტრიწის, ან-
ტონ ბაგრატიონის, გაბრიელ ეპისკოპოსის და სხვა
ქართველ მოღვაწეთა ქმნილებები). სწორედ ქრის-
ტიანული ფილოსოფიის წიაღში ხდება ფილოსოფი-
ისა და თეოლოგიის, ცოდნისა და რწმენის, აკადემი-
ისა და ეკლესიის, ერთი შეხედვით, გადაულახავი
წინააღმდეგობების მორიგება და მათი დადებითად
გადაჭრა. ქრისტიანული ღირებულებებით აღჭურ-
ვილი სწავლული შეძლებს მართებულად განსაზღვ-
როს ადამიანის მიმართება ღმერთისა და სამყაროს,

კაცობრიობის ისტორიისა და საზოგადოებრივი ცვლილებების მიმართ. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ჩვენს დროში, დიდი ტექნოლოგიური რევოლუციის საუკუნეში, როცა ღირებულებათა ორომტრიალი აშკარად თვალს უბრმავებს მყარ მსოფლმხედველობრივ ორიენტაციას მოკლებულ ადამიანებს. დღეს, შესაძლოა, არაფერი ისე საჭირო არ არის, როგორც ღრმა ფილოსოფიური აზროვნება, რომელიც კვლავაც დაუბრუნებს ადამიანებს რწმენას ჩვენი სამყაროს საფუძველმდებარე ღირებულებების (თავისუფლების, სამართლიანობისა და სიყვარულის) მიმართ და ამგვარი რწმენა გაძლიერებული იქნება გონივრული, საღი, ინტელექტუალური არგუმენტებით. ეს ერთგვარი ინტელექტუალური რწმენაა, რომელიც დიდი ქრისტიანი მოაზროვნების თეორიული ჭვრეტისა და პრაქტიკული ასკეზის მიზანს წარმოადგენდა. ამგვარი ინტელექტუალური რწმენის შედეგად (გა)ჩნდება ერთგვარი ინტელექტუალური ნდობა ზემოთ ნახსენები ღირებულებებისადმი, რაც შედეგად (გამო)იწვევს ადამიანთა საზოგადოებისა და მისი სანუკვარი იდეალებისადმი ჯანსაღი რწმენის განახლებას.

ახალი საქართველოს უნივერსიტეტი აზროვნების ის ადგილია (ტოპოსია), სადაც ზემოთ მოხაზული საკითხების საფუძვლიანი განხილვა და ანალიზი პრიორიტეტს წარმოადგენს. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში ახალი ტიპის, XXI საუკუნის შესატყვისი ინტელექტუალები აღიზარდონ, რათა მათ ამ საუკუნის გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირება მოახდინონ. ამ მიზნით უნი-

ვერსიტეტი ქმნის სხვადასხვა სახის სამეცნიერო-სა-განმანათლებლო პროექტებს სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და კრებულები, რომლებიც ხელს უწყობს ფილო-სოფიასა და რელიგიას შორის არსებული კავშირების ახალი ასპექტებისა და წახნაგების გამოკვეთას. ამ ტიპის სამეცნიერო აქტივობები დიდად წაადგება ქართულ აკადემიურ სივრცეში მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო მეცნიერებების განვითარების პროცესს და მისი სამომავლო განვითარების გარკვეულ პერსპექტივებსაც დასახავს. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა, რადგან საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, როგორც ცნობილია, თეოლოგია და, საერთოდ, საღვთისმეტყველო მეცნიერებები, ფაქტოპრივად, არც კი არსებობდა. მეცნიერული აზრის განვითარების პროცესში წარმოშობილი ეს დიდი წყვეტა ძალზე მტკივნეულად აისახა კიდეც საქართველოში ქრისტიანული აზროვნების გავრცელებისა და მეცნიერული შესწავლის პროცესზე. ამ დიდი ისტორიული წყვეტის შემდეგ, საღვთისმეტყველო დარგების განვითარება ქართულ აკადემიურ სივრცეში ჯერ კიდევ საწყისს ეტაპზე იმყოფება და საჭიროა ამ დარგთა (მაგალითად, ქრისტიანული ფილოსოფია და მისი ქვედარები – ქრისტიანული ეთიკა, ქრისტიანული ანთროპოლოგია და სხვ.) განვითარების ახალი გზების დასახვა; ვიმედოვნებთ, რომ ამ პროცესში ახალი საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული (საერთაშორისო/ადგილო-

ბრივი) სამეცნიერო კონფერენციები და გამოცემული წიგნები დადებით როლს შეასრულებს.

წინამდებარე კრებული მოიცავს ახალი საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ შექმნილ სამეცნიერო გამოკვლევებს უნივერსიტეტის (როგორც სულიერ-საგანმანათლებლო ცენტრის) წარსულის, აწყოსა და მომავლის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ ეს კრებული იპოვის დაინტერესებულ მკითხველს და, ამასთანავე, თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს საქართველოში საუნივერსიტეტო ცხოვრებისა და პოლიტიკის გააზრების პროცესში.

მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)

უდო რაინცოლდ იეკი

თენგიზ ირემაძე

28 აგვისტო, 2018 წელი